ამიერ-კავკ. ფრონტის პოლიტსამმართველო

ჰიტლერელთა ხრიკები ირანში

შეადგინეს:
ი. მ. ფელდმანმა, ბ. ა. ლევიცკიმ

სახელგამი
პოლიტლიტერატურის სექტორი
თბილისი 1941

ამიერ-კავკ. ფრონტის პოლიტსამმართველო

ჰიფლერელთა ხრიკები ირანში

31197

შეადგინეს:
ი. ზ. ფელდმანმა
ბ. ა. ლევიცკიმ

სახელგამი * პოლიტლიტერატურის სექტორი
თბილისი — 1941

წინამდებარე ბროშურის მიზანია — მოკლედ მოუთხროს მკითხველს ირანში ჰიტლერის აგენტურის ჯაშუშურ-ძირგამომთხრელი საქმიანობისა და იმ ამბების შესახებ, რასაც ადგილი ჰქონდა ირანში საბჭოთა და ინგლისელთა ჯარების შეყვანასთან დაკავშირებით.

რატომ ცდილობდნენ ჰიტლერელები ირანის დაპყრობას

ცნობილია, რომ გერმანიის მილიტარიზმი დიდი ხანია ცდილობდა თავის კოლონიად გადაექცია ირანი. ჯერ კიდევ პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში ვილჰელმის გერმანიამ, თავისი ჯაშუშებისა და დივერსანტების შემწეობით, რუსეთისა და ინგლისის არმიების წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლის ასპარეზად გახადა ირანი.

ეს ბრძოლა, რომელსაც გერმანელები ფარულად, ზოგჯერ კი აშკარადაც აწარმოებდნენ მოკავშირეთა ზურგში, ცოტა ზიანს როდი აყენებდა უკანასკნელთ.

ირანში მომქმედი გერმანელი აგენტები, რომელთაც იმ ხანებში ხელმძღვანელობდა საკმაოდ ცნობილი ჯაშუში და პროვოკატორი ვასმუსი — გერმანიის ელჩი ქალ. ბუშირში, სამხრეთ ირანში, — შეუდგნენ მოკავშირეთა ფრონტის ახლო-აღმოსავლეთის უბნის დარღვევის საქმეს.

მოსყიდვითა და მოტყუებით ისინი ინგლისისა და რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებდნენ ქურთებსა და სხვა ტომის ხალხებს, ეწეოდნენ აქტიურ ჯაშუშურ-დივერსიულ მუშაობას: აწყობდნენ რკინიგზის ხაზებისა და ხიდების აფეთქებებს; სპობდნენ საწვავისა და საომარი მასალის საწყობებს; არღვევდნენ ტელეგრაფ-ტელეფონის კავშირგაბმულობას, ანგრევდნენ რადიოსადგურებს.

თუ რა ფართოდ გაიშალა იმ წლებში გერმანელთა დივერსიული მუშაობა, ამას მოწმობს თუნდაც ის გარემოება, რომ ირანში მყოფმა მარტო ერთ-ერთმა გერმანელმა ოფიცერმა 1918 წელს გერმანიის ელჩს ქირმანშაჰში მიმდინარე საჭიროებისათვის მოსთხო-

ვა 100 კგრ. დინამიტი, 2000 მეტრი ბიკფორდის ზონარი, 100 ხელ-ყუმბარა და მრავალი სხვა ფეთქებადი მასალა.

ირანი მუდამ იზიდავდა გერმანელ კაპიტალისტებს თავისი ბუ-ნებრივი სიმდიდრეებით, როგორიცაა: ნავთი, ოქრო, სპილენძი, რკინის მადანი, ქვანახშირი და მრავალი სხვა მთამადნეული. მთე-ლი ეს სიმდიდრე, რაც ირანის მიწის წიაღში მოიპოვება, ძალიან ცუდად მუშავდებოდა ირანის კულტურული და ეკონომიური ჩა-მორჩენილობის გამო.

გერმანელები ოცნებობდნენ ირანზე, როგორც ერთერთ უგემ-რიელეს ლუკმაზე ახლო აღმოსავლეთში. მათ ჩინებულად ესმოდათ აგრეთვე მეტად ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა ირანისა, რომელიც ინდოეთთან დამაკავშირებელ „სახმელეთო ხიდს“ წარ-მოადგენს.

1914—1918 წლების ომში გერმანიის დამარცხებამ ხელიდან გა-მოაცალა მას პოზიციები ირანში. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჰიტ-ლერი მოექცა ხელისუფლების სათავეში, მუშავდება ახლო აღმო-სავლეთში შეტევისა და აგრესიების გენერალური გეგმა. თავის აგენტურას ჰიტლერი ამოცანად უსახავს ფაშისტური გერმანიის პოლიტიკური გავლენისადმი ირანის დამორჩილებას და უწინარეს ყოვლისა ამ ქვეყნის ეკონომიურად დამონებას.

მარტო 1936 წლის განმავლობაში ფაშისტურმა გერმანიამ, დას-დო რა საკლირინგო შეთანხმება, ირანთან საგარეო ვაჭრობის მხრივ მეორე ადგილი დაიკავა. ამას ჰიტლერელებმა მხოლოდ იმით მიაღწიეს, რომ მოხერხებულად იყენებდნენ ირანის ეკონომიურ და სავალუტო სიძნელეებს.

თავს მოახვია რა ირანის მთავრობას კაბალური ხელშეკრულება, გერმანიამ ეკონომიურად მისგან დამოკიდებული გახადა ირანი, მოურიდებლად ისარგებლა ირანელი ხალხის ისედაც მეტისმეტად მძიმე მდგომარეობით და იწყო ირანისათვის მიწოდებულ საქო-ნელზე ფასების აწევა. ეს ფასები მსოფლიოში არსებულ ფასებზე

გაცილებით მეტი იყო. ჰიტლერელთა თაღლითურმა პოლიტიკამ დიდად დასცა ირანის ფულადი ერთეულის — თუმანის ღირებულება და, მაშასადამე, შეარყია ირანელი ხალხის ფართო მასების კეთილდღეობაც.

მრავალრიცხოვან კონცესიათა და სააქციო საზოგადოებათა შემწეობით, რომელნიც არსებითად ჯაშუშურ-ძირგამომთხრელი მუშაობის ცენტრებს წარმოადგენდნენ, ფაშისტური გერმანია, მიცემული კრედიტების ასანაზღაურებლად, მთელი ძალღონით ცდილობდა კიდევ უფრო მეტად დაემონებინა ირანი პოლიტიკური და ეკონომიური მხრივ, რათა შესაფერ მომენტში ირანის პლაცდარმიდან თავს დასხმოდა საბჭოთა კავშირს სამხრეთიდან.

სწორედ ამიტომ გერმანელებმა თავიანთი ძირითადი მუშაობა გაშალეს ჩრდილოეთ ირანში — სსრ კავშირის საზღვართან (სამხრეთ აზერბაიჯანში) და კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე (გილანისა და მაზანდერანის პროვინციები).

სარგებლობდნენ რა იმით, რომ ირანის მთავრობა აინუნშიც არ იგდებდა მათს ჯაშუშურ-ძირგამომთხრელ საქმიანობას, გერმანელები უფროდაუფრო თავხედნი ხდებოდნენ.

ქალაქები თავრიზი, მაქუ, ხოი, მიანე გერმანელი ჯაშუშებით იყო სავსე. ისეთს პატარა ქალაქშიც კი, როგორიც მარანდია, არსებობდა ფაშისტური ორგანიზაცია, რომლის წევრები აქ ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდნენ ვითომდა „ტექნიკოსების“, „მელიორატორებისა“ და „მებაღეების“ სახითაც კი.

გერმანელებმა მსხვილი ბურჟუაზია გახლართეს თავიანთ მრავალრიცხოვან სავაჭრო-სამრეწველო ფირმებთან კავშირურთიერთობის ქსელში; ეყრდნობოდნენ რა იმ ოფიცერთა და მთავრობის მოხელეთა რეაქციულ ნაწილს, რომელნიც გერმანელთა დაზვერვას მიეყიდნენ, გერმანელებმა აშკარად იწყეს ირანის მთავრობის აპარატში გაძრომა. გერმანელმა აგენტებმა მოახერხეს ირანის 50-ზე მეტ დაწესებულებაში მნიშვნელოვან ოფიციალურ თანამდებობა-

თა დაკავება. მეჯლისის დეპუტატებს შორისაც კი იყვნენ გერმანელთა აგენტები. სამხედრო უწყების საწარმოებში „ინჟინრებისა“ და „ტექნიკოსების“ სახით გერმანელთა 56 მზვერავი შეძვრა. ისინი „მუშაობდნენ“ სამხედრო არსენალში, ტყვიამფრქვევებისა და ფისტონის ქარხნებში, აეროდრომებზე, აირწინალთა ფაბრიკაში. დიდი თანამდებობის მქონე ბევრი გერმანელი ოფიცერი მოეწყო ინსტრუქტორად ირანის არმიაში.

ეკონომიურად დაიმორჩილეს რა ირანი, გერმანელებმა იწყეს ამ ქვეყნიდან დიდძალი საქონლის, ნედლეულისა და სურსათ-სანოვაგის გაზიდვა. ასე, მაგალითად, მხოლოდ მიმდინარე წელს ისინი ცდილობდნენ ირანიდან 3.000-ზე მეტი ტონა მატყლის ამოქაჩვას, რაც მთელი საექსპორტო მატყლის დაახლოებით ნახევარს შეადგენს.

წლის დამლევამდე გერმანიაში უნდა გაზიდულიყო ნედლი ბამბის მოსავლის 75 პროცენტი, დაახლოებით 1,5 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი მცენარეული ზეთი მოტორებისა, ტანკებისა და თვითმფრინავებისათვის. ირანში გერმანელები ყიდულობდნენ ხალიჩებს, ნუშს, ინდისხურმას — სხვა ქვეყნებში გასაყიდად.

გერმანელებმა ყალბი დოლარებით აავსეს ირანის ფულის ბაზარი. ყალბი ვალუტა ბერლინში მზადდებოდა, შემდეგ კი დიპლომატიურ შიკრიკებს და გერმანიის სხვა აგენტებს ეს ვალუტა თეირანში გადაჰქონდათ. ეს სრულებით ჰფუშავდა ირანის სახელმწიფოს ფინანსების საქმეს. სხვადასხვა მაქინაციებით, მსხვილი ირანელი ვაჭრების მეშვეობით, გერმანელები გამალებით ყიდულობდნენ კოლონიურ ქვეყნებში — ტაიში, ინდოეთში, ჰოლანდიის ინდოეთში—სხვადასხვა, დიდად საჭირო ნედლეულს, პირველყოვლისა — სამხედრო მრეწველობისათვის, როგორიც არის, მაგალითად: კაუჩუკი, კალა, შელაკი და სხვა საქონელი; ეს საქონელი შემდგომ იგზავნებოდა გერმანიაში პატარა „ამანათების“ სახით.

ჰიტლერელი არამზადები კონტრაბანდული გზით ახერხებდნენ ირანიდან პირველი ხარისხის საავიაციო ბენზინის გაზიდვას.

რას აძლევდა ჰიტლერული გერმანია ირანს? ფაქტიურად არაფერს. ამავე დროს კი გერმანელები კვეხნით გაიძახოდნენ: ჩვენი დახმარების წყალობით ირანი ეკონომიურად აღორძინდაო. ეს „დახმარება“, მათი სიტყვით, იმაში გამოიხატებოდა, რომ გერმანელთა ფირმებმა ირანის მთავრობასთან მთელი რიგი შეთანხმებანი დასდეს: დღეღამეში 300 ტონა თუჯის დამამზადებელი მეტალურგიული კომბინატის აგების შესახებ, ტრანსირანის რკინიგზის ცალკეული უბნების მშენებლობის შესახებ, სპილენძის მოსაპოვებლად კონცესიების მიღებისა და ანარეკის რაიონში ფერადი ლითონების დიდი კომბინატის აშენების შესახებ. ზარბაზნის მეფემ კრუპმა იკისრა „ხელსაყრელ ფასში“ (რა ფასიც ჩვეულებრივზე რამდენიმეჯერ უფრო ძვირი იყო) მიეწოდებინა მოწყობილობა განიაბადის სპილენძსადნობი ქარხნისათვის.

გერმანელთა სხვადასხვა ფირმები, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ ირანში საწარმოთა მშენებლობაში, უსაზომოდ უმატებდნენ სამშენებლო მასალისა და მოწყობილობის ფასებს, განზრახ ადიდებდნენ ზედნადებ ხარჯებს, ყოველგვარ მაქინაციებს მიმართავდნენ, რომ რაც შეიძლება მეტი აეძროთ. ბოლოსდაბოლოს ირანის მთავრობა მიხვდა, რომ ჰიტლერული გერმანია სრულებითაც არ ცდილობს განავითაროს ირანის მრეწველობა და ნაკლებად ფიქრობს ირანისათვის რაიმე დახმარების გაწევაზე. ჰიტლერელები მხოლოდ იმაზე ოცნებობდნენ, რომ თვითონ გამდიდრებულიყვნენ და ამავე დროს ძირი გამოეთხარათ ირანის ნორჩი მრეწველობისათვის, მოეშალათ მისი ახლად აღმოცენებული ინდუსტრია.

მას შემდეგ, რაც ირანის მთავრობამ გაიგო გერმანელ კომერსანტთა თაღლითობის ამბავი, იგი იძულებული გახდა დაერღვია მეტწილ გერმანულ ფირმებთან დადებული ხელშეკრულებანი. მაგრამ ჰიტლერელთა მტაცებლური, უტიფარი პოლიტიკა ყოველგვარ საზღვარს გასცილდა. ირანის მთავრობა, რომლის შემადგენლობა-

ში ცოტა როდი იყო გამყიდველი, პროგერმანული ელემენტი, აღარ იბრძოდა თავისი ეკონომიური და პოლიტიკური თავისუფლებისათვის. ჰიტლერის აგენტები სათანადო გავლენას ახდენდნენ ქვეყნის მთელ ცხოვრებაზე, მის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე.

ირანი დაიფარა ჯაშუშების, ფარული ფაშისტური ორგანიზაციების, დივერსიული და ტერორისტული ჯგუფების განშტოებული ქსელით. გერმანელებმა ირანში გააფთრებული მუშაობა გააჩაღეს იმისათვის, რომ მოემზადებინათ ირანი როგორც პლაცდარმი სსრ კავშირზე თავდასასხმელად და გადაექციათ იგი გამოსავალ პუნქტად ამიერ-კავკასიასა და შუა-აზიაში ფართო ძირგამომთხრელი და დივერსიული მუშაობის გასაშლელად.

სხვადასხვა სპეციალისტებისა და სავაჭრო ფირმების წარმომადგენელთა ნიღაბით გერმანელებმა ირანში გადაისროლეს დიდძალი ოფიცერი და ჯაშუშური და სადივერსიო მუშაობის დიდი სპეციალისტები. ასე, მაგალითად, ფირმა „სიმენსის“ დირექტორის თანამდებობაზე გერმანიიდან გაგზავნეს გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ფონ-რადანოვიჩი. ფირმა „ლანის“ დირექტორის თანამდებობაზე — ფაშისტი ავაზაკი, პროვოკაციული და ძირგამომთხრელი მუშაობის განთქმული ოსტატი ვინმე ადლერი. ასეთივე ცრუსპეციალისტები იყვნენ ვაგნერი — საექსპორტო კომპანია „შტრიფის“ დირექტორი, ვოლფი — „ირან-ექსპრესის“ ფირმის ყოფილი წარმომადგენელი ფეჰლევში და სხვა მრავალი. გერმანელი ბანკე „ტექნიკოსად“ მუშაობდა თეირანის არსენალში, ფაქტიურად კი რაზმებს და ტერორისტულ ჯგუფებს ადგენდა თეთრგვარდიელებისა, მუსავატელებისა და დაშნაკებისაგან.

გერმანელების მიერ თავიანთ ოფიციალურ წარმომადგენლობებში თეირანს გაგზავნილი პირებიდან, ძირგამომთხრელი მუშაობით ყველაზე მეტად ცნობილი არიან ფრანც მაიერი და გამოტა.

ჩვენს წინააღმდეგ ირანში გაჩაღებული ძირგამომთხრელი მუშაობით ჰიტლერელები ორ მიზანს ისახავდნენ:

ა) სსრ კავშირის ტერიტორიაზე დივერსიული ბანდების გადმოსროლის გზით ჩაეფუშათ მრეწველობის, განსაკუთრებით ნავთის მრეწველობის და ტრანსპორტის მუშაობა;

ბ) სამხედრო მოქმედების ახალი ასპარეზი გაეხსნათ ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ.

ამ უკანასკნელი ამოცანის შესასრულებლად ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ დიპლომატიური ურთიერთობის გამწვავებას სსრ კავშირსა და ირანს შორის, აგრეთვე ირანის ჩაბმას ჩვენს საწინააღმდეგო ომში გერმანიის მხარეზე, რისთვისაც ირანს ჰპირდებოდნენ საბჭოთა კავშირზე გამარჯვების შემდეგ გადაეცათ მისთვის კავკასიის მნიშვნელოვანი ნაწილი და შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკების ზოგიერთი რაიონი.

გერმანიის აგენტურამ, რომელიც უდიდეს მოგებას იღებდა ირანში თავისი საქონლის გასაღებით, მნიშვნელოვნად გახრწნა ირანის სახელმწიფო აპარატი ქრთამებით. ამ აგენტურას მეტად ფართო ჯაშუშური ქსელი ჰქონდა გაბმული ირანის არმიაში, რაც უშუალო საფრთხეს უქმნიდა ქვეყნის დამოუკიდებლობას.

უცხოეთის პრესა არაერთხელ იუწყებოდა, რომ ირანში არსებობდა შეთქმულთა ჯგუფები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ირანში ფაშისტური დიქტატურის დამყარებას.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ფაქტებისა, რიზა-შაჰის მთავრობა არა თუ არავითარ ზომებს არ იღებდა ჰიტლერელთა მიერ გაჩაღებულ ძირგამომთხრელი მუშაობის აღსაკვეთად, არამედ, როგორც შემდგომმა ამბებმა გვიჩვენეს, იგი სავსებით ემორჩილებოდა ჰიტლერელთა აგენტურას და თვითონაც ეხმარებოდა ფაშისტებს მათს ბინძურ თამაშში, ემზადებოდა იმისათვის, რომ მათი მითითებით დაეწყო ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

სსრ კავშირის მთავრობისა და ინგლისის მთავრობის ორგზის მოთხოვნაზე გერმანელების გაძევებისა და მათ მიერ გაჩაღებული ძირგამომთხრელი საქმიანობის აღკვეთის შესახებ, ირანის მთავრო-

ბა არადამაკმაყოფილებელ პასუხებს იძლეოდა და სხვადასხვა საბაბით არსებითად უარჰყოფდა ყველა ამ მოთხოვნას.

უკანასკნელ ხანებში, და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სსრ კავშირს ვერაგულად თავს დაესხა ჰიტლერის გერმანია, გერმანიის ფაშისტ-შეთქმულთა ჯგუფების მტრულმა საქმიანობამ საბჭოთა კავშირისა და ირანის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის ტერიტორიაზე საშიში ხასიათი მიიღო.

საბჭოთა მთავრობა დარწმუნდა, რომ როგორც სსრ კავშირისადმი, ისე თვით ირანისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები ირანის ტერიტორიაზე ამზადებდნენ ანტისაბჭოთა ავანტურას და რომ რიზა-შაჰის მთავრობა არსებითად ხელს უწყობდა ამ ავანტურას; ამიტომ საბჭოთა მთავრობა იძულებული იყო, თვითდაცვის მიზნით, 1921 წლის 26 თებერვლის ხელშეკრულების საფუძველზე, დროებით შეეყვანა ირანის ტერიტორიაზე თავისი ჯარები. ამავე დროს ასეთივე ნაბიჯი გადადგა ინგლისის მთავრობამ.

ჩვენი ნაწილები სწრაფად მიიწევდნენ ირანის ტერიტორიის სიღრმეში, რადგან ირანელ ხალხს არ სურდა და არცა სურს სსრ კავშირის წინააღმდეგ ომი. ირანელი ჯარისკაცები, ჯერ კიდევ წითელ არმიასთან შეხვედრამდე, დიდი ჯგუფების სახით სტოვებდნენ თავიანთ ნაწილებს და შინისაკენ მიეშურებოდნენ.

ამრიგად, ირანში საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ჯარების შეყვანასთან დაკავშირებით, ჰიტლერელ ბანდიტთა ყველა გეგმა ჩაიფუშა, ხოლო სსრ კავშირის წინააღმდეგ ომში ირანის ჩათრევის განზრახვამ მარცხი განიცადა. მთელი მსოფლიოსათვის ცხადი გახდა, რომ ფაშისტური გერმანიის საზიზღარ პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში სერიოზული ლახვარი ჩასცეს.

მაგრამ ახლო აღმოსავლეთში მოსალოდნელი საფრთხე ჯერ კიდევ არ გამქრალა. ჰიტლერულმა აგენტურამ ახლა გააფთრებული მუშაობა გააჩაღა ახალი პროვოკაციებისა და დივერსიების მოსამზადებლად ახლო აღმოსავლეთში. ეს ჩვენგან მოითხოვს არ შევა-

სუსტოთ სიფხიზლე ჰიტლერელთა ოინებისადმი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. დედამიწის ამ ნაწილის მშვიდობიანობა და ჩვენი სამხრეთი საზღვრების უშიშროება უზრუნველყოფილი იქნება ფაშისტი ჯაშუშებისა და დივერსანტების მხოლოდ სრული განდევნით ამ ქვეყნებიდან.

ჰიტლერული აგენტურის ჯაშუშურ-ძირგამოთხრელი საქმიანობა ირანში

1. გამოტა, მაიერი და კომპანია

ჰიტლერელ ბანდიტთა ძირგამომთხრელმა ჯაშუშურ-დივერსიულმა საქმიანობამ ირანში განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც თეირანს ჩავიდა გერმანიის დაზვერვის ცნობილი აგენტი გამოტა და მისი თანაშემწე მაიერი.

ამბობენ, რომ გამოტა წმინდა სისხლის არიელი არ არისო. მაგრამ თავისი ბატონ-პატრონების ძაღლური ერთგულებით, „დიდი არიული რასის“ საკეთილდღეოდ ჩადენილი სისხლიანი საქმეებით გამოტამ ფაშისტების ნდობა და გამოცდილი მზვერავის რეპუტაცია დაიმსახურა. ახლო აღმოსავლეთში განცდილმა უკანასკნელმა მარცხმა, როგორც სჩანს, საკმაოდ შეარყია ამ ფაშისტი არამზადის კარიერა. საქმე ის არის, რომ გამოტა იძულებული გახდა გაქცეულიყო მას შემდეგ, რაც ერაყში ჩაიფუშა ჯაშუშურ-პროვოკაციული გეგმები, რომლებიც ჰიტლერის დავალებით მზადდებოდა. თავის უახლოეს თანაშემწე ფრანც მაიერთან (მისი ნამდვილი სახელია რიჰარდ ავგუსტი) ერთად გამოტამ საკმაოდ ბევრი იმუშავა ინგლის-ერაყის კონფლიქტის პროვოკაციულად გამოწვევისათვის. მაგრამ „მეგობრების“ საქმიანობა სამარცხვინოდ ჩაიფუშა, მათ ცხელ კვალზე წაასწრეს. მიმალვა არსად აღარ შეიძლებოდა, და ამიტომ მათ გაქცევა ამჯობინეს. კვალი მიემართებოდა მეზობელ

ალმოსავლურ დიდ ქვეყანაში. გამოტა-მაიერის კომპანიის დღის წესრიგში იდგა ირანი.

გერმანიის თეირანის საელჩოში მისვლის შემდეგ, სადაც მოთავსებული იყო ჰიტლერის დაზვერვის მთავარი შტაბი, გამოტამ და მაიერმა თავისი ბატონ-პატრონებისაგან ახალი ინსტრუქციები მიიღეს. მთელს ირანში ფართო ჯაშუშური ქსელის შექმნის გარდა, საჭირო იყო დივერსიული და ტერორისტული ჯგუფების ორგანიზაციის დაწყება, თურქი და ქურთი ტომების აჯანყებათა მოწყობა ჩრდილოეთში, სამღვდელოების ამოქმედება და სსრ კავშირის წინააღმდეგ „სახალხო" ომის ინსცენირება.

მაიერისა და გამოტას მიერ თეირანში შექმნილი ჯაშუშური ცენტრი საბჭოთა კავშირის მოსაზღვრე ირანის მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში შეუდგა დივერსიული ჯგუფების ორგანიზაციას, რომლებიც ძირითადად შესდგებოდნენ ყველაზე პირწავარდნილი თეთრგვარდიელებისა, დაშნაკებისა და მუსავატელებისაგან. უახლესი ავტომატური იარაღით აღჭურვილი, ასაფეთქებელი ნივთიერებით მომარაგებული ეს ჯგუფები, წინათ შედგენილ ბანდებთან ერთად, უნდა გადმოესროლნათ ბაქოში და საბჭოთა ტერიტორიის სხვა პუნქტებში ცეცხლის წაკიდებისა და აფეთქებების მოსაწყობად.

თვალის ახვევის მიზნით გამოტასა და მაიერის მუშაობა შენიღბული იყო კომერციული საქმიანობით, სხვადასხვა სავაჭრო ფირმებისა და სააქციო საზოგადოებათა ორგანიზაციით.

თეირანის ერთერთ მთავარ ქუჩაზე გახსნილი იყო გერმანიის საავტომობილი ფირმა „მერსედესის" ბიურო; ამ „ბიუროს" ფირმის მოსამსახურე ფრანც მაიერი მეთაურობდა.

ირანის ხელისუფალთა ლოცვა-კურთხევით გამოტა შეუდგა ახალი სააქციო საზოგადოების მოწყობას თეირანში. ფაშისტი ჯაშუში, პოლკოვნიკი შმიდტი თავრიზს გაიგზავნა. იქ იგი მეთაურობდა „ვებერბაუერ ტრანსპორტის" კანტორას. მან ხელთ იგდო აგრეთვე

რამდენიმე პატარა სამრეწველო საწარმო და მთელი რიგი სახალიჩო სახელოსნოები. ერთერთ ასეთ სახალიჩო სახელოსნოში რამდენიმე თვის განმავლობაში ქსოვდნენ უზარმაზარ, 125 კვადრატულ მეტრიან ხალიჩას, რომელზედაც გამოხატული იყო „ფიურერის“ — კაციჭამია, სისხლის მწყურვალ ადოლფ ჰიტლერის პორტრეტი. ეს ხალიჩა დიდი თანხა დაჯდა და თითქმის მზად იყო, მაგრამ მის მოთავებას ხელი შეუშალა საბჭოთა ჯარების შესვლამ თავრიზში. ხალიჩების მოყვარული ჰერ შმიდტი, რასაკვირველია, სასწრაფოდ მიიმალა. მის ბინაში, ტელეფონის აპარატში აღმოჩენილ იქნა შენიღბული მინიატურული მოკლეტალღიანი რადიოგადამცემი.

შმიდტმა თავრიზში ფიცხელი ჯაშუშურ-დივერსიული და პროვოკაციული საქმიანობა გააჩაღა. იგი ავრცელებდა დიდძალ ანტისაბჭოთა ლიტერატურას ირანულ ენაზე, ათასგვარ ცრუ ხმებს ავრცელებდა სსრ კავშირის შესახებ, დაშნაკებსა და მუსავატელებს შორის აწყობდა სადივერსიო ჯგუფებს საბჭოთა სომხეთსა და აზერბაიჯანში გადმოსაგზავნად, ავრცელებდა ჭორებს იმის შესახებ, თითქოს გერმანიის არმიამ უკვე დაიპყრო კავკასია და იქ გერმანელებმა უკვე დაიკავეს რამდენიმე ქალაქი.

მეორე ჯაშუში, გერმანელი ვოლფი, რომელმაც კარგად იცოდა ირანული და რუსული ენები, გამოტამ „ნუველ-ირან-ექსპრესის“ სატრანსპორტო კანტორის წარმომადგენლად გაგზავნა ფეჰლევში. იმავე დროს ვოლფი გერმანიის დაზვერვის დამაკავშირებელი რგოლი იყო ჩრდილოეთ ირანში და კასპიის სანაპიროზე. მისი ხელმძღვანელობით მზადდებოდა ყველაზე დიდი დივერსიული ჯგუფები ბაქოსა და გროზნოს ნავთის რაიონებში შემოსაგზავნად.

იმავე სატრანსპორტო კანტორის უფროსი, რომელშიც ვოლფი მუშაობდა, პლატე იყო. იგი ხელმძღვანელობდა გერმანიის დაზვერვას ფეჰლევის ნავსადგურში. მოსყიდვის გზით მან მიაღწია გერმანელთა სრულს ბატონობას ნავსადგურში. ფეჰლევის ნავსად-

გურის საბაჟოს უფროსი ფიიაზი და მისი მოადგილე მაგრური პლატესაგან დიდ ქრთამებს იღებდნენ და გერმანელების ყველა ოინს ნავსადგურში ხელს აფარებდნენ.

წითელი არმიის მებრძოლები და მეთაურები ათვალიერებენ ფაშისტურ ბაირაღებს, რომლებიც ხელში ჩავიგდეთ ფაშისტური ბუდეების ლიკვიდაციის დროს ირანში

მეორე გერმანელ ჯაშუშ, ვიღაც პუგაჩნიკთან ერთად ვოლფმა ფეჰლევში მოაწყო ფარული ფაშისტური ორგანიზაცია. საბჭოთა ჯარის შესვლის დროს ფეჰლევში, პუგაჩნიკის ბინაში აღმოჩენილ იქნა უახლესი ავტომატური იარაღის საწყობი და ფაშისტურ სვას-

ტიკიანი ათობით ბაირაღი. ბატონ ჰიტლერელებს იმედი ჰქონდათ ეს ბაირაღები გამოეყენებინათ იმ მომენტში, როდესაც მოხდებოდა სახელმწიფო გადატრიალება და ირანი ჰიტლერის გერმანიის უუფლებო ვასალი გახდებოდა.

ჩრდილოეთ ირანში დივერსიული ჯგუფების შექმნაში თვალსაჩინო როლს ასრულებდა აგრეთვე „კომერსანტი“ როზენბერგი და სხვა მრავალი ჯაშუში.

თეირანში და სხვა დიდ ქალაქებში გაჩნდა „სიმენსის“ ფირმის მაღაზიები. უბრალო საქონლით: უთოებით, ელექტრონის კარდლებითა და ჩაიდნებით, ვენტილატორებით და ელექტრონის სხვადასხვა წვრილმანი ნივთებით ვაჭრობა, თითქოს, ამ ფირმის ერთადერთი საზრუნავი იყო. მაგრამ ფირმის დირექტორად დაინიშნა გერმანიის გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ფონ-რადანოვიჩი, მის მოადგილედ — აგრეთვე სამხედრო პირი, პოლკოვნიკი კეფკენი. როგორც შემდეგ გამოირკვა, პოლკოვნიკი კეფკენი „მცირე საზოგადოებრივი დატვირთვის“ სახით ხელმძღვანელობდა აგრეთვე ჯაშუშურ ჯგუფს ირანის მრეწველობაში.

მსოფლიოში ცნობილია ფირმა „აეგ“ („ალგემაინე ელეკტრიშე გეზელშაფტ“). იგი ამზადებს ელექტროკომპრესორებსა და ელექტრონის სხვა ხელსაწყოებს. მაიერმა და გამოტამ საიმედო ჯაშუშური ბუდე მოაწყეს ამ ფირმის ირანის წარმომადგენლობაშიც.

ფირმა „ლანის“ დირექტორის თანამდებობაზე გერმანიიდან ჩამოვიდა პროვოკაციული და ძირგამომთხრელი მუშაობის გამოცდილი ოსტატი, ცნობილი ფაშისტი ავაზაკი ადლერი.

ცნობილ ზარბაზნის მეფეს კრუპს ირანში წარმოადგენდა „ერტელის“ ფირმა. ოფიციალურად ეს ფირმა ირანში ჰყიდდა დაზგებს, დიზელებს, არაოფიციალურად კი — არტილერიის ქვემეხებს, საზენიტო ზარბაზნებს, დიდი ყალიბის ტყვიამფრქვევებს და სხვა იარაღს.

ფირმა „ბაიერი“ ირანში ოფიციალურად ვაჭრობდა საფთიაქო სა-

ქონლით, არაოფიციალურად კი—საომარი მასალით. მის წარმომადგენლად იყო ვიღაც შლუთერი, რომელსაც გერმანიის არმიის გენერლის ხარისხი ჰქონდა.

როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან სჩანს, ტყუილად როდი იგზავნებოდნენ ირანში ასე დიდი მასშტაბით ჰიტლერის არმიის ოფიცრები და მაღალი მოხელეები. უცნაური „ვაჭრები“ გაჩნდნენ ირანში.



ასაფეთქებელი მასალები, რომელთაც გერმანელები ირანში ინახავდნენ
და რომლებიც ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს 1941 წ. 29 აგვისტოს

თეირანის მახლობლად, შიმრანის ლამაზ მიდამოებში, მოაწყეს „ტურისტული ბანაკი“, თვით თეირანში კი გახსნეს გერმანული კლუბი „ბრაუნ-ჰაუზ“ („მიხაკისფერი სახლი“). მალე ეს დაწესებულებანი ჰიტლერელთა შესაკრებ მიმზიდველ ადგილად იქცა, ჰიტლერელ ჯაშუშთა რიცხვი კი ირანში იზრდებოდა არა დღეობით, არამედ საათობით, და მალე რამდენიმე ათასს მიაღწია.

„ტურისტული ბანაკი“ მთლიანად გასამხედროებული იყო. მოაწყეს სპეციალური სექციები: საცხენოსნო, ველოსიპედის, მოტოციკლისა და საავტომობილო. დამსვენებელი „ტურისტები“ ნადირო-

ბის სახით გადიოდნენ სამხედრო მომზადებას. ისინი დაყოფილი იყვნენ ასეულებად და ათასეულებად, სწორედ ისე, როგორც გერმანიაში, მესამე იმპერიაში.

თავრიზში, რეშტში, ფეჰლევში, ყაზვინსა და ჩრდილოეთ ირანის სხვა ქალაქებში შექმნილი იყო ფარული ფაშისტური ჯგუფები, რომლებსაც ხშირად ადგილობრივი პოლიციის ხელისუფალნი მფარველობდნენ. თეირანში, ჰამადანსა და მიანში მაიერსა და გამოტას მოწყობილი ჰქონდათ ფარული მოძრავი რადიოგადამცემი სადგური თავიანთ აგენტებთან დასაკავშირებლად.

2. ჯაშუშები მეცნიერთა, ტურისტთა და ინჟინერთა როლში

გერმანელმა ჯაშუშებმა და პროვოკატორებმა მოახერხეს ირანის მთავრობის აპარატში, დაწესებულებებსა და სამხედრო საწარმოებში გაძრომა. ასე, მაგალითად, მრეწველობის სამინისტროში დიდხანს თარეშობდა გერმანელი ინჟინერი გრუბერი. როგორც კრუპის ფირმის წარმომადგენელმა, მან ირანის რკინიგზების სამმართველოში დიდი ოჯარა აიღო თეირან-თავრიზის რკინიგზის ხაზის ცალკეული უბნების მშენებლობაზე. ამ გზის მშენებლობის ერთ-ერთ უაღრესად პასუხსაგებ უბანზე — მე-13 უბანზე — „ინჟინერ“ ხეოანის, გერმანიის არმიის ყოფილი პოლკოვნიკის, ხელმძღვანელობით შექმნილ იქნა ფარული სადივერსიო ჯგუფი, რომლის ამოცანას შეადგენდა ტერორისტული აქტების ორგანიზაცია სსრ კავშირის წინააღმდეგ და დივერსანტების გადმოგზავნა საბჭოთა კავშირში; ამ დივერსანტებს თან უნდა ჰქონოდათ სხვადასხვა ასაფეთქებელი ნივთიერებანი, რომლებიც უხვად იყო გზის მშენებლობის ამ უბანზე.

მე-13 უბნის მახლობლად, მთებში დამალული იყო ათობით ტონა დინამიტი [illegible] და ტრინიტროტოლუოლი, აგრეთვე გა-

მართული იყო გერმანული წარმოების ავტომატური იარაღის საწყობები. საბჭოთა ჯარების წინ წაწევის შემთხვევაში უნდა აეფეთქებინათ ყაფლანკუს ხეობა, რომელსაც დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე დიდი ქვის ხიდი მიანე-ზენჯანის გზაზე.

ამას გარდა, ფირუსკუხის რაიონში გერმანელები ამზადებდნენ რკინიგზის დიდი ვიადუკისა და სამი კილომეტრის სიგრძის გვირაბის აფეთქებას. ეს დივერსია რომ განხორციელებულიყო, ხანგრძლივად შეწყდებოდა ტვირთის გადაზიდვა რკინიგზის ამ ერთადერთი მაგისტრალით, რომელიც სპარსეთის ყურეს აკავშირებს კასპიის ზღვასთან.

გერმანელი მზვერავების ეს განზრახვა ჩაიფუშა საბჭოთა სატანკო ჯარების სწრაფი წინსვლის მეოხებით.

თავრიზ-ჯულფის რკინიგზის სამმართველოში სულ უფრო და უფრო მიძვრებოდნენ გერმანელები. ამას ის გარემოება ააღვილებდა, რომ გერმანელები ფრიად მნიშვნელოვან პოსტებზე გაძვრნენ რკინიგზის ცენტრალურ სამმართველოშიც. მაგალითად, რკინიგზების მშენებლობის მთავარი ინჟინერი იყო ვილჰელმ სანოკი, გაანგარიშებათა ინჟინერი—გუსტავ ბორი. ყველა სამმართველოში განყოფილებათა გამგეებად, ტექნიკურ დირექტორებად, კონსულტანტებად გერმანელები ისხდნენ.

ირანში დიდძალი უახლესი ევროპული იარაღი შეჰქონდათ. 1941 წლის მხოლოდ რამდენიმე თვის განმავლობაში გერმანიიდან ირანში შეიტანეს 11 ათასი ტონა სხვადასხვა იარაღი და საომარი მასალა. იგი შეჰქონდათ ფარულად და აშკარად, სხვადასხვა გზით: თურქეთით (უმთავრესად), ერაყით, ავღანეთით. ცნობილია შემთხვევა, როცა იარაღის ფარულად გადატანა სცადეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიითაც კი. ასე, მაგალითად, სატრანსპორტო ფირმა „შენკერი“ ფარულად ცდილობდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიით მანქანების ნაწილების სახით გადაეგზავნა სხვადასხვა ავტო-

მატური იარაღი. საინტერესოა, თუ როგორ მოხერხდა ამის აღმოჩენა. ერთერთ საბჭოთა ნავსადგურში (ბათუმში) გერმანიის გემის გადმოტვირთვის დროს გატყდა ერთი ყუთი, რომელსაც ჰქონდა წარწერა: „მანქანების ნაწილები“. მანქანების ნაწილების ნაცვლად ნაპირზე დაცვივდა დიდი ყალიბის ტყვიამფრქვევების, ტანკსაწი-



„სააფთიაქო“ საქონელი, რომლითაც ვაჭრობდა ირანში „ბაიერის“ ფირმა

ნაღმდეგო ქვემეხების ლულები და სხვა სათადარიგო ნაწილები, რომლებიც დამზადებული იყო გერმანიაში კრუპის ქარხნებში და ფაქტიურად, როგორც შემდეგ გამოირკვა, იგზავნებოდა ფირმა „ერტელის“ მისამართით; ეს ფირმა ირანში წარმოადგენდა ზარბაზნის მეფეს კრუპს.

იარაღი ირანში გადაჰქონდათ სააფთიაქო საქონლის სახითაც. მაგალითად, ფირმა „ბაიერი“ პირამიდონთან, ჰიგროსკოპიულ ბამ-

ბასა და ქინაქინის ტაბლეტებთან ერთად ყუთებში ალაგებდა „ბრაუნინგისა“ და „ვალტერის“ ჩვეულებრივ ვაზნებს. გერმანიიდან გაგზავნილ ამ „მედიკამენტებს“ ღებულობდა საიმედო პირი—ფირმის სავაჭრო წარმომადგენელი ირანში შლუთერი, რომელიც, თავისი სამოქალაქო სამოსელის მიუხედავად, გერმანიის არმიის გენერლის ხარისხს ატარებდა. კომერსანტმა-გენერალმა კარგად იცოდა, რა მიზნისათვის იყენებდნენ ამ „მედიკამენტებს“. ასეთი გასავლიანი საქონელი მისი ფირმის საწყობებში დიდხანს არ რჩებოდა. გერმანიიდან გადაგზავნილ იარაღს ხშირად, თვალის ასახვევად, ჰქონდა წარწერა: „გაკეთებულია ირანში“.

სპარსეთის ყურის ნაპირას, ბენდერ-შაჰპურის ნავსადგურში, ომის დაწყებიდანვე ჩარჩა გერმანიისა და იტალიის რამდენიმე გემი. ამ გემების გუნდების შემადგენლობაში, როგორც ეს მიღებულია ფაშისტურ გერმანიაში, მრავალი ჯაშუში იყო, რომლებიც მსოფლიოს ყველა ნავსადგურის სამიკიტნოებსა და თავშესაფრებში აგროვებდნენ ცნობებს გერმანიის კონტრ-დაზვერვისათვის.

ირანის მთავრობის ხელშეწყობით გერმანელ და იტალიელ მეზღვაურებს მოქმედების სრული თავისუფლება ჰქონდათ. სტუმრები დასეირნობდნენ სანაპიროზე, ექსკურსიებს აწყობდნენ სამხრეთ ირანის სხვადასხვა ქალაქებში, იღებდნენ სანავსადგურო სიმაგრეების ფოტოსურათებს, აგროვებდნენ ჯაშუშურ ცნობებს იმ ქვეყნის შესახებ, რომელმაც ისინი ასე სტუმართმოყვრულად მიიღო.

ბენდერ-შაჰპურის ახლოს, ლამაზ მთიან რაიონში, გერმანელი და იტალიელი მეზღვაურებისათვის გამართეს სამთო-ალპინისტური ბანაკი. აქაც, ისე როგორც თეირანის მიდამოებში, გასეირნებისა და ნადირობის სახით ფაშისტები აშკარად გადიოდნენ სამხედრო მომზადებას, სწავლობდნენ სამხედრო სიარულს, თანამედროვე საბრძოლო ტაქტიკას, ისროდნენ რევოლვერებიდან, შაშხანებიდან და ტყვიამფრქვევებიდან.

გერმანიის სარდლობამ, როცა ამუშავებდა თავის გეგმებს ირანის, როგორც სსრ კავშირზე თავდასხმისათვის საჭირო პლაცდარმის გამოსაყენებლად, უკანასკნელ ამბებამდე ცოტა ხნით ადრე თავისი აგენტების მაიერისა და გამოტას საშუალებით, ბენდერ-შაჰპურში მყოფი გემების კაპიტნებს მისცა ფარული ბრძანება ჩაეძირათ ეს გემები ვიწრო ყელში, რომელიც ნავსადგურს სპარსეთის ყურესთან აერთებს. მაგრამ ამ ბრძანების შესრულება მათ ვერ მოასწრეს.

ინგლისის ჯარების მოულოდნელმა შესვლამ ჩაჰფუშა მზაკვრული გეგმა ჰიტლერელებისა, რომლებიც ამ დივერსიით გააძნელებდნენ ირანში შესვლას სამხრეთიდან, რადგან ბენდერ-შაჰპურის ნავსადგურზე გადის ძირითადი სატრანსპორტო მაგისტრალი, რომელიც მთელ ირანს ჰკვეთს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

გერმანელების თავხედობა და ირანის ხელისუფალთა მლიქვნელობა მათ მიმართ უმსგავსო ფორმებს იღებდა. მაგალითად, სსრ კავშირის მოსაზღვრე ჯულფაში აღმოჩენილ იქნა იარაღისა და საომარი მასალის საწყობი. ამ საწყობში შენახული იყო უახლესი ავტომატები, ტყვიამფრქვევები, დიდძალი საომარი მასალა და ასაფეთქებელი ნივთიერება. ადგილობრივმა ხელისუფლებამ კარგად იცოდა ეს, მაგრამ არავითარ ზომებს არ ღებულობდა, რათა ბოლო მოეღო ამ ცეცხლთან თამაშისათვის, რაც საბჭოთა კავშირის ზედ საზღვარზე ხდებოდა. კიდევ მეტი. ერთხელ, როდესაც ირანელი ოფიცერი ცდილობდა გადაცმული გერმანელი ოფიცრისათვის ხელი შეეშალნა ჯულფასთან მდ. არაქსის ხიდის ფოტოსურათის გადაღებაში, იგი მისმა უფროსებმავე დასაჯეს.

სსრ კავშირის მოსაზღვრე ჯულფაში არსებობდა სატრანსპორტო კანტორა, რომლის „საქმიანობას“ ტრანსპორტთან არაფერი საერთო არა ჰქონდა, რადგან მისი ერთადერთი ამოცანა იყო დახმარებოდა გერმანელ ჯაშუშებს საზღვრისპირა რაიონებში „გასეირნებაში“. „ტურისტების“ ჯგუფებს, რომლებიც საბჭოთა საზღვარზე მო-

დიოდნენ, თან ჰქონდათ ტყვიამფრქვევები, დინამიტი, შაშხანები. ყველა ეს „ტურისტი“ გერმანიის არმიის გადაცმული ოფიცერი იყო.

ფაშისტების ეს დაუსჯელობა იმას იწვევდა, რომ ჰიტლერელები სისტემატურად მოგზაურობდნენ სსრ კავშირთან მოსაზღვრე რაიონებში, იღებდნენ ჩვენი სასაზღვრო ობიექტების ფოტოსურა-

გერმანიის ირანელი აგენტის დაკითხვა საბჭოთა სარდლობის წარმომადგენლის მიერ

თებს, სრულიად დაუბრკოლებლად ახდენდნენ ადგილმდებარეობის ტოპოგრაფიულ აგეგმვას.

1941 წლის ივლისსა და აგვისტოში ირანში ასობით იწყეს ჩასვლა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა გერმანელმა ოფიცრებმა; მათ შორის ათობით იყვნენ მფრინავები. ისინი გემებით ჩადიოდნენ ტრაპიზონში (თურქეთი), საიდანაც „ტურისტების“ სახით ჯგუფებად გადადიოდნენ ავტომობილებით არზრუმზე გავლით ირანში.

3. სოფლის მეურნეობის „სპეციალისტები“

გერმანელი ფაშისტების ჯაშუშურ ქსელში განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ სოფლის მეურნეობის „სპეციალისტებს“.

ირანის სოფლის მეურნეობაში თარეშობდა ჯგუფი გაქნილი

გერმანელი ჯაშუშებისა, რომლებმაც თავის დროზე მოასწრეს სსრ კავშირში ყოფნა სხვადასხვა საბაბით. ასე, მაგალითად, ქერეჯის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მანქანათმცოდნეობის კათედრის გამგე ჰერ ფრიცი და სელექციონერი შნეიდერი რამდენიმე წელს ცხოვრობდნენ საბჭოთა კავშირში.

შნეიდერი უკრაინაში ცხოვრობდა და შაქრის ჭარხლის მეთესლეობას... „სწავლობდა". ფრიცი მუშაობდა ყუბანში, კრასნოდარის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

როცა ქერეჯის ინსტიტუტში ირანელებს თავის საგნებს—მანქანათმცოდნეობას და სელექციას — ასწავლიდნენ, ფრიცი და შნეიდერი არ ივიწყებდნენ მათთვის ესწავლებინათ კიდევ ერთი საგანი, რომელიც ოფიციალურად არ შედიოდა ინსტიტუტის პროგრამაში: ისინი გულმოდგინედ ანვითარებდნენ მუსლიმანების... არიული წარმოშობის „თეორიას" და ამბობდნენ, რომ ძველ გერმანელთა ღმერთსა და მუსლიმანთა ალაჰს შორის ბევრი რამ საერთო არის და, მაშასადამე, მუსლიმანებმა: ფარსებმა, თურქებმა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ტომებმა უნდა შეჰქმნან ნამდვილად არიული მუსლიმანური რასა და ერთიანი მუსლიმანური სახელმწიფოო.

ფრიცი, შნეიდერი და ბოტანიკოსი ჰაუბე, რომლებიც ირანის სოფლის მეურნეობაში „მოღვაწეობდნენ", ყველაზე ბინძურ და მავნებლურ საქმიანობასაც კი არ თაკილობდნენ. ასე, მაგალითად, როცა გაიგეს, რომ საბჭოთა კავშირიდან ირანში შეიტანეს ტრაქტორების პარტია, შნეიდერმა და ფრიცმა თავისი აგენტების საშუალებით ტრაქტორების მოტორებში გადასწვეს სპილენძ-აზბესტის შუასადებები და მექანიკოსები მოისყიდეს იმისათვის, რომ მათ ტრაქტორები მინდვრად გაეშვათ უწყლო რადიატორებით.

ამის შედეგად ტრაქტორების უმრავლესობა მალე გაფუჭდა, ბატონი შნეიდერი და ფრიცი კი გაჰკიოდნენ, რომ საბჭოთა ტრაქტორები ნაგავია და მათი ყიდვა აღარ ღირსო.

მეორე შემთხვევაში ენტომოლოგი ბრანდტი და ექიმი ობერდორფერი გულმოდგინედ ცდილობდნენ ჩვენი ირანელი წარმომადგენლობისაგან მიეღოთ ნებართვა სსრ კავშირის იმ რაიონებში ჩამოსასვლელად, რომლებიც ირანს ესაზღვრებიან. ამ ჩამოსვლის მიზანი, როგორც ისინი ამბობდნენ, უნდა ყოფილიყო სარეველა ბალახის — „ჭიოტას“ შესწავლა. როცა ავტორიტეტულმა საბჭოთა სპეციალისტებმა მათ აუხსნეს, რომ „ჭიოტა“ იზრდება სამხრეთ ირანში და არა საბჭოთა კავშირის საზღვარზეო, „სპეციალისტებმა“ თავიანთი ინტერესი მაშინვე სხვა მცენარეზე — კალოკოზიაზე — გადაიტანეს.

დოქტორ ბრანდტს ირანში თავი ისე ეჭირა, როგორც გამოჩენილ მეცნიერს. როცა ვინმეს ეწვეოდა, იგი წარადგენდა ხოლმე ოქროთი მოვარაყებულ სადარბაზო ბარათს: „დოქტორი ბრანდტი. კაიზერ ვილჰელმის ბიოქიმიის ინსტიტუტი. ბერლინი, დალენი“.

დოქტორი ბრანდტი უხვად არიგებდა ქრთამებს, სიძუნწეს არ იჩენდა და დიდ ფულს იხდიდა ხოლმე მცირე სამსახურისათვის. თუ როგორი იყო ეს სამსახური, ეს ცნობილი გახდა შემდეგში საბჭოთა და უცხოეთის პრესაში მოთავსებული დეპეშიდან.

აი „პრავდაში“ დაბეჭდილი ერთერთი შენიშვნა:

„გერმანელი დივერსანტების დაპატიმრება ავღანეთში

ქაბული, 28 ივლისი (საკდესი). დიპლომატიური კორპუსის მიერ სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობებით, 19 ივლისს, ლეგერის ხეობაში, ქაბულის სამხრეთით 60 კილომეტრზე, მონდახის ყიშლაყის რაიონში, ავღანეთის პოლიციამ დააპატიმრა გერმანელები ობერდორფერი და ბრანდტი, რომლებსაც ავღანური ტანისამოსი ეცვათ. დაპატიმრებულნი, რომლებსაც თან დიდძალი ინდური და ავღანური ფული, რამდენიმე ტყვიამფრქვევი და რევოლვერი ჰქონდათ, ცდი-

ლობდნენ სამხრეთ პროვინციაში გადასვლას, რათა იარაღი და ფული გადაეცათ თავისი აგენტებისათვის. დაპატიმრებისას გერმანელებმა პოლიციას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს, რომლის დროსაც ობერდორფერი მოჰკლეს, ხოლო ბრანდტი მძიმედ დასჭრეს".

როგორც შემდეგ ცნობილი გახდა, დოქტორი ბრანდტი სამი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ლენინგრადში. რამდენიმე წლის წინათ იგი სსრ კავშირიდან გაემგზავრა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში. საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს მან მოახერხა ზოგიერთი საბჭოთა მეცნიერის ნდობის მოპოვება და მათთან მეცნიერული მიმოწერის გამართვა ბოტანიკისა და ბიოქიმიის საკითხებზე. ერთერთ საბჭოთა მეცნიერთან, პროფესორ რ-თან მიმოწერას დოქტორი ბრანდტი მაშინაც კი განაგრძობდა, როცა უკვე საზღვარგარეთ იმყოფებოდა. ასე, მაგალითად, როცა ირანში ცხოვრობდა, იგი პროფესორ რ-ს გაცვლა-გამოცვლის წესით უგზავნიდა პეპლების სხვადასხვა იშვიათ ეგზემპლარებს.

1937 წელს პროფესორი რ. გამომჟღავნებულ იქნა როგორც ხალხის მტერი. მის შემდეგ დარჩენილ პეპლების კოლექციებში ბრანდტის მიერ გამოგზავნილი იშვიათი ეგზემპლარებიც იყო. ამ იშვიათი ეგზემპლარების ფრთებზე აღმოჩენილ იქნა უაღრესად პატარა, ოდნავ შესამჩნევი წერტილები, რომლებიც სპეციალური მელნით იყო აღნიშნული.

ჯაშუშობის დოქტორი ბრანდტი სუფთად მუშაობდა და ავღანეთის საზღვარზე რომ პატარა შემთხვევა არ მომხდარიყო, იგი თავის მეგობარ ჰერ ობერდორფერთან ერთად დღემდე სარეველა ბალახ „ჭიოტას" შესწავლით იქნებოდა გართული და უწყინარი ლამაზი პეპლებით დაინტერესებული.

ასეთივე სახის „სპეციალისტი" იყო „ინჟინერ-აგრონომი" ლაუპერტი. ამ აგრონომის სპეციალობა იყო ეკონომიური ჯაშუშობა. ლაუპერტის ვრცელი ანგარიშები ირანის სოფლის მეურნეო-

ბის მდგომარეობაზე და სტრატეგიული ნედლეულის დამზადების შესაძლებლობაზე, გადახლართული იყო წმინდა ჯაშუშურ ცნობებთან, რომელთა შორის საპატიო ადგილი ეჭირა საბჭოთა კავშირ-ირანის ეკონომიურ ურთიერთობას.

4. მგლები ცხვრის ტყავით

ირანში ძალიან კარგად იცნობენ ბატონ შუნემანს, „იუნკერსის" ფირმის წარმომადგენელს. 25 წელზე მეტია იგი ირანში ცხოვრობს. შუნემანი ყოველთვის სამხრეთ ირანში იყო, ხან სპარსეთის ყურის ნაპირას მდებარე სხვადასხვა პატარა ქალაქებში მოგზაურობდა, ხან რამდენიმე თვეს ფეხმოუცვლელად ცხოვრობდა ირანის ძველ სატახტო ქალაქ ისფაჰანში.

უკანასკნელ ხანებში ჰერ შუნემანი თეირანში დამკვიდრდა, გერმანიის მისიის შენობაში. იგი აქ საკუთარი სურვილით როდი ჩამოვიდა: ისფაჰანიდან გამოაძევეს. საქმე ის არის, რომ ჰერ შუნემანი, უბრალოდ რომ ვთქვათ, ჩავარდა ერთი ოპერაციის დროს, რომელიც ირანის მთავრობის წინააღმდეგ იყო მიმართული. მამხილებელი საბუთები აშკარა იყო და მეჯლისის მრავალმა წევრმა მოითხოვა ამ ობერ-ჯაშუშის გაძევება ირანის ფარგლებიდან.

მაგრამ გერმანიის დიპლომატიურმა მისიამ, რომელსაც ჰიტლერის პირადი მეგობარი, გერმანიის ირანელი ელჩი ფონ-ეტელი მეთაურობდა, შუნემანს თავისი კალთა გადააფარა და მისი „გაძევება" რამდენადმე ორიგინალურად მოხდა: ბატონ შუნემანს აუკრძალეს ქალაქ ისფაჰანში ცხოვრება, მაგრამ ნება დართეს... თეირანში ეცხოვრა. გერმანიის დაზვერვას ეს ძვირად დაუჯდა, მაგრამ ჰერ შუნემანი მეტად ძვირფასი „სპეციალისტი" იყო აღმოსავლეთის ქვეყნების საკითხებში და ამიტომ მისი დაკარგვა დიდი დანაკლისი იქნებოდა.

შუნემანს ბნელი წარსული აქვს, მაგრამ ზოგიერთი მისი სა-

ქმიანობა კარგად არის ცნობილი. მაგალითად, ჯერ კიდევ პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში იგი აწყობდა ირანში მცხოვრებ მომთაბარე ტომების აჯანყებებს ხან ინგლისელების და ხან რუსების წინააღმდეგ.

ეს გაქნილი, მსხვილფეხა კონტრმზვერავი მთელ თავის სიცოცხლეში გარს იკრებდა ავანტურისტებს მთელი მსოფლიოს სამიკიტნოებიდან. მას დიდი კავშირი ჰქონდა რუს თეთრგვარდიელებთან, შულერებთან, სუტენერებთან, ყალბი ფულის მჭრელებთან, ყველა ჯურის თაღლითებთან და აშკარა მძარცველებთან.

იგი ყოველთვის ძალიან ფრთხილად მოქმედებდა, მაგრამ უკანასკნელ ხანებში იმდენად გათავხედდა, რომ 1940 წლის ნოემბერში თავის რეზიდენციაში ისფაჰანში აშკარად მიიღო გერმანიის მოსკოვის საელჩოს ყოფილი მრჩეველი ბ-ნი N..., რომელშაც ირანის ძველი სატახტო ქალაქის აღმოსავლური ძეგლების „დათვალიერება" გადასწყვიტა.

ბატონი მრჩეველი რამდენიმე დღეს იყო შუნემანთან. რამდენიმე ხნის შემდეგ შუნემანს „ესტუმრა" სამხედრო ატაშე პოლკოვნიკი ფონ-ჰენგელდორფი. მანაც აგრეთვე კეთილსინდისიერად დაათვალიერა აღმოსავლური სიძველეები.

მაგრამ ამის შემდეგ მალე შაჰმა რიზა ფეჰლევიმ შეიტყო, რომ „იუნკერსის" ფირმის პატივცემულ გერმანელი წარმომადგენლის ხელმძღვანელობით მზადდებოდა დიდი პოლიტიკური ინტრიგები და ტომების აჯანყებანი, რომლებიც მიმართული იყო ირანის მთავრობის წინააღმდეგ.

ჰიტლერელები ირანში სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებდნენ იმ შემთხვევისათვის, თუ მათი ოინები სასურველ ნაყოფს არ გამოიღებდა და ირანის მთავრობა საბჭოთა კავშირს თავს არ დაესხმოდა სამხრეთიდან. შუნემანი ამ მომავალი სახელმწიფო გადატრიალების მომზადების ერთერთი უაღრესად აქტიური მონაწილე და სულისჩამდგმელი იყო.

***

გერმანიის დაზვერვის მეორე საინტერესო ფიგურა ირანში იყო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში კარგად ცნობილი ადმირალი კანარისი.

აგვისტოს დამდეგს თეირანს ჩავიდა თურქი ოფიცრების ჯგუფი 18 კაცის რაოდენობით. ისინი აქ 10 — 12 დღეს სტუმრად იყვნენ და შემდეგ ავღანეთს გაემგზავრნენ. რაღაც უცნაური დამთხვევით ამავე დროს თეირანს ჩავიდა ადმირალი კანარისი — ფაშისტური გერმანიის დაზვერვის ერთერთი მეთაური და ავანჩავანი.

კანარისი ჯერ კიდევ პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდში მუშაობდა ვილჰელმის ჯალათ პოლკოვნიკ ნიკოლაის ხელმძღვანელობით, რომელიც მაშინ გერმანიის დაზვერვის უფროსი იყო.

მას შემდეგ ადმირალ კანარისის საქმიანობა ნაკლებად იყო ცნობილი. მაგრამ აღმოსავლეთში იციან, რომ გერმანიის მიერ უკანასკნელ ხანებში აფრიკაში, ერაყში, სირიაში, პალესტინაში და ბალკანეთში მოწყობილი პროვოკაციების უმრავლესობა კანარისის საქმეა.

ადმირალი კანარისი ფარულად ჩავიდა თეირანს გერმანიის ერთერთი ნაკლებად ცნობილი ფირმის კომივოიაჟორის ნიღაბით.

ირანელ ვაჭრებს მან აუხსნა, რომ ჩასული იყო სხვადასხვა საქონლის შესყიდვის მიზნით. და იგი მართლაც ვრცლად ეგაასებოდა მათ ბამბის, ქუნჯუთის ზეთის, მატყლის, ტყავის, ხურმისა და ნუშის ფასებზე. ყველა ამ საქონლის საფასურს კანარისი შეუვაჭრებლად იხდიდა, თანაც ამერიკული დოლარებით (როგორც გამოირკვა, ამ ფულის დიდი ნაწილი ყალბი იყო).

რასაკვირველია, ირანის საიდუმლო პოლიციამ იცოდა, ვინ იყო კანარისი, მაგრამ ხმას არ სცემდა მას.

კანარისმა ისარგებლა ირანის მთავრობის წაყრუებით და დაიწ-

ყო ქრთამების აშკარად გაცემა. იგი უხვად იხდიდა დიდძალ თანხას (ისიც ყალბი ფულით) ჯაშუშობისათვის, დივერსიული ჯგუფებისა და ფარული ფაშისტური რაზმების შესანახად. კანარისი ერთ ცენტრალურ ამოცანას ისახავდა—მოეწყო სახელმწიფო გადატრიალება და ირანში მცხოვრებ მომთაბარე ტომების აჯანყებანი.

თავისი ერთერთი ჯაშუშის, დოქტორ ელერსის საშუალებით, რომელმაც შუნემანის ადგილი დაიკავა ისფაჰანში, კანარისმა მოისყიდა სამხრეთ ირანის ერთერთი ყველაზე დიდი და მეომარი ტომის ბელადი — შირაზი.

კანარისის უახლოესი თანამებრძოლის, გერმანიის არმიის მაიორ ბატონ ფრიეშის ხელმძღვანელობით, თეთრგვარდიელებისა, დაშნაკებისა და მუსავატელებისაგან „დააკომპლექტეს“ დივერსიული და ტერორისტული ჯგუფები სსრ კავშირში შემოსაგზავნად.

გარდა ამისა, მაიორმა ფრიეშმა ძალიან მოკლე ვადაში შეჰქმნა სპეციალური ფაშისტური ბატალიონები თეირანში მცხოვრებ გერმანელებისაგან, რომლებმაც სამხედრო მომზადება გაიარეს „ტურისტულ“ ბანაკში; ამ ბატალიონებში შედიოდნენ აგრეთვე ირანის არმიის გერმანოფილურად განწყობილი ახალგაზრდა ოფიცრები, რომლებიც ჩათრეული იყვნენ შეთქმულებაში. ამ ბატალიონებს უნდა შეედგინათ დამკვრელი ჯგუფები მეხუთე კოლონისა, რომელსაც ადმირალი კანარისი ხელმძღვანელობდა.

აჯანყება დანიშნული იყო 22 აგვისტოსათვის (პარასკევი). შემდეგ იგი 28 აგვისტოსათვის გადაიტანეს. ამასთან ფაშისტ ბანდიტებს განზრახული ჰქონდათ უწინარეს ყოვლისა ამოეწყვიტათ საბჭოთა საელჩოს შემადგენლობა თეირანში, აგრეთვე სსრკ ყველა მოქალაქე, რომლებიც ირანში ცხოვრობენ. მაგრამ ეს წამოწყებაც მარცხით დამთავრდა. საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ჯარების ირანში შესვლამ შესწყვიტა ჰიტლერის ბრბოს ბანდიტური საქმიანობა. მრავალი ჰიტლერელი ბანდიტი ცხელ კვალზე შეიპყრეს მამხილებელი მასალებითურთ და, მიუხედავად

რიზა-შაჰის მთავრობის ყოველგვარი ცდებისა თავისი მფარველობის ქალთა გადაეფარებინა მათთვის, ისინი საბჭოთა ხელისუფალთ გადასცეს. ჰიტლერის ბანდის დანაშაულებრივი საქმიანობა ირანში სამარცხვინოდ დასრულდა.

ჰებელსის „აღმოსავლური“ პროპაგანდა

ჰიტლერელთა ჯაშუშურ-ძირგამომთხრელი საქმიანობა ირანში უაღრესად მჭიდროდ იყო გადახლართული აღვირახსნილ ნაცისტურ პროპაგანდასთან. ჰებელსის ემისრები, რომლებიც ერთსა და იმავე დროს ფაშისტური დაზვერვისა და გესტაპოს აგენტები იყვნენ, ირანში ხშირად პროპაგანდას ეწეოდნენ თავისებური მეთოდებით.

ამ „აღმოსავლურ“ პროპაგანდას, რაც ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ტარდებოდა, ირანში წარმართავდა და ხელმძღვანელობდა ჰიტლერისა და ჰებელსის მიერ გაგზავნილი კაცი, ძველი კომედიანტი ვინკლერი, რომელიც ოფიციალურად ითვლებოდა გერმანიის თეირანის საელჩოს „კულტურული საკითხების ატაშედ“. ვინკლერს თავისი განსაკუთრებული შტატი ჰყავდა ათი კაცისაგან. ეს „კულტუროსნები“, ისე როგორც ყველა გერმანელი მზვერავი ირანში, აღვირახსნილ ფაშისტურ პროპაგანდას ეწეოდნენ.

ჰებელსის მოციქულები თეირანში უშვებდნენ სპეციალურ ბიულეტენს ირანულ ენაზე. ბიულეტენი, რასაკვირველია, ქებადიდებას ასხამდა იმ ვაჭრებს, რომლებიც სარფიან გარიგებებს სდებდნენ გერმანულ ფირმებთან, მიუთითებდა გერმანელთა „სათნო მოქმედებაზე“ ირანში და ფაშისტური გერმანიის „დახმარებაზე“ თავისი უმცროსი ძმის — ირანისადმი. ამ ბიულეტენს უფასოდ უგზავნიდნენ მთავრობის ყველა თვალსაჩინო მოხელეს, ვაჭრებს, ირანის სხვადასხვა დაწესებულებებსა და ფირმებს.

ჰიტლერელებმა, ცხადია, უყურადღებოდ არ დასტოვეს არც

ირანის პრესა. რამდენიმე გაზეთი, რომლებიც ირანში ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობენ, როგორც, მაგალითად, „ეტელაათი“ და „ჟურნალ დე ტეჰერანი“, მოსყიდული იყო და ხანგამოშვებით დიდ სუბსიდიებს იღებდა ჰიტლერის ემისრებისაგან.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ირანის პრესა ჯიუტად სდუმდა გერმანელთა ჯაშუშურ-ძირგამომთხრელ საქმიანობაზე ირანში და ბეჭდავდა ფაშისტური გერმანიისათვის საჭირო სულისკვეთებით გამსჭვალულ სტატიებს. ამ სტატიებში გერმანელები არც ბინძურ ცილისწამებას ერიდებოდნენ და არც ფაქტების აშკარა დამახინჯებას. მაგალითად, ერთერთ წერილში, ირანში გერმანელთა პარპაშის დასასაბუთებლად, ნათქვამი იყო, რომ გერმანელები და ირანელები ტომობრივად ახლობლები არიანო და სხვ. თავრიზში, ჯაშუშ შმიდტის მეცადინეობით, რომელიც იქ თარეშობდა, ერთხანს სრულიად ლეგალურად გამოდიოდა (ჯრუ ფაშისტური ფურცელი „არიელი“.

იმ ლიტერატურაში, რომელსაც შმიდტი თავრიზში ავრცელებდა, იყო აგრეთვე „ფიურერის“ ბიოგრაფია ირანულ ენაზე, ჰიტლერის სიტყვები სხვადასხვა ენაზე და სხვა ფაშისტური გამოცემანი.

ჰიტლერელები წელებზე ფეხს იდგამდნენ იმისათვის, რომ თეირანის საუკეთესო კინოთეატრებს ეჩვენებინათ ფაშისტური ფილმები. ამ მიზნით ისინი ქრთამავდნენ ყველას — ცენზურით დაწყებული და კინოთეატრების მეპატრონეებით დამთავრებული.

ვინკლერის „კულტურისნები“ ირანში დიდი რაოდენობით ავრცელებდნენ ნაცისტურ ლიტერატურას. ფაშისტი ბელადების უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებების გადასათარგმნად ირანულ ენაზე, შექმნილი იყო მთარგმნელთა შტატი. ამ თარგმანებს შეუფერხებლად სცემდნენ, რადგან წიგნით მოვაჭრენი და გამომცემლობათა დირექტორები, განსაკუთრებული ჯილდოს მიღების შემდეგ, სიამოვნებით ბეჭდავდნენ ფაშისტურ მონაჩმახს.

გერმანული მაღაზიების მეპატრონეები თავრიზში, როცა ისეთ უწყინარ საქონელს ჰყიდდნენ, როგორიცაა აჭიმები, უთოები და სხვა, ამასთანავე იაფად აჩეჩებდნენ მყიდველებს ფაშისტურ ლიტერატურას. როცა მყიდველები უარს ამბობდნენ, ლიტერატურის ფასს მინიმუმამდე ამცირებდნენ და იქამდეც კი მიდიოდნენ, რომ ბოლოსდაბოლოს ლიტერატურას სრულიად უფასოდ ატანდნენ საქონელთან ერთად.

გერმანელები ცდილობდნენ ფაშისტური პროპაგანდა ეწარმოებინათ ყველგან: საპარიკმახეროებში, სამკერვალო სახელოსნოებში, კინოთეატრებში.

ომის გამჩაღებელი ანლო აღმოსავლეთში ჰიტლერი — ჰეიდარი

ბერლინი თითქმის ყოველდღიურად აწარმოებს რადიოგადაცემას ირანულ ენაზე. ბერლინის რადიო გადასცემს ხოლმე სასაცილო, უაღრესად სულელურ თეორიებს არიული და მუსლიმანური რასების ნათესაობის შესახებ, დიდი ალაჰისა და ძველ გერმანელთა ღმერთის შესახებ, რომლებიც, თურმე, მეგობრები იყვნენ. არც ისე დიდი ხნის წინათ ბერლინის რადიომ მთელს მსოფლიოს აუწყა, რომ ჰიტლერმა... მაჰმადიანობა მიიღო და ახლა მას ჰეიდარი ჰქვიანო (ჰეიდარი — ირანში გავრცელებული სახელია).

უკანასკნელ ცნობებს, რომლებსაც ბერლინიდან აგრეთვე ირანულ ენაზე გადასცემენ ხოლმე, თან ერთვის ამონაწერების კითხვა ყურანიდან. ყოველივე ეს სიამოვნებდა გერმანოფილურად განწყობილ ზოგიერთ ირანელს.

ამას გარდა, სიცრუისა და ჭორების ჰიტლერისეულ სამზარეულოში სთითხნიდნენ „ავტორიტეტული წყაროებიდან მიღებულ“ ყოველგვარ ყალბ ინფორმაციას ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მოქმედების შესახებ ახლო აღმოსავლეთში.

გერმანელებს ირანში მოურიდებლად ეჭირათ თავი, ზოგჯერ კი თავხედურადაც იქცეოდნენ. მაგრამ ამასთან ერთად ისინი იყენებდნენ ჯაშუშობისა და პროპაგანდის დახვეწილ ფორმებს: მოქრთამვას, პირფეროობას, მოჩვენებითს თავაზიანობას, რაც ხშირად იაფფასიანი ეფექტის მოსახდენად იყო გათვალისწინებული.

ირანის სხვადასხვა ოფიციალურ წრეებში გავლენის მოსაპოვებლად, ქრთამის გარდა, გერმანელები არ თაკილობდნენ ესარგებლნათ ბინძური ჭორებით ირანის ოფიციალური პირების კერძო ცხოვრებიდან, ოჯახური ინტრიგებით და სხვ.

ისინი მართავდნენ ბანკეტებს, წვეულებებსა და ვახშმებს ირანის ინტელიგენციის, მთავრობის მოხელეების, ვაჭრებისა და ოფიცრების ზოგიერთი ნაწილისათვის.

დაცოლშვილებული გერმანელებიც კი, ირანში ჩასვლის შემდეგ, ცოლად ირთავდნენ ირანელ ქალებს, წასვლისას კი, რასაკვირველია, მათ თავს ანებებდნენ.

ჰიტლერელებმა, რომლებიც იცნობენ აღმოსავლელი ვაჭრების, მოხელეებისა და ოფიცრების ძლიერ მიდრეკილებას ევროპელი ქალებისადმი, ამასწინათ ირანში ჩაიყვანეს რამდენიმე ათეული გერმანელი „გრეთხენის“, წმინდა სისხლის არიელ ქალთა, ჯგუფი; ეს ქალები გამოყვანილი იყვნენ ბერლინის მესამეხარისხოვანი თავშესაფრებიდან და საროსკიპოებიდან. მათი ნაწილი ცოლად მიათხოვეს ყველაზე საჭირო, გერმანოფილურად განწყო-

ბილ ირანელ მოხელეებს, ვაჭრებსა და ოფიცრებს, ნაწილი კი გაანაწილეს ჯაშუშობისა და პროპაგანდის საწარმოებლად თეირანის კაფე-რესტორნებისა და საროსკიპოების სტუმრებს შორის.

ჰიტლერელები ცდილობდნენ მჭიდრო კავშირი დაემყარებინათ ირანის არმიის ოფიცრებთან. ისინი ხშირად დადიოდნენ ირანის ოფიცერთა კლუბებში, სტუმრად მიდიოდნენ მათთან, ფულს არ ზოგავდნენ მიპატიჟებისა და საჩუქრებისათვის, რაც ასე მიღებულია აღმოსავლეთში.

მრავალრიცხოვანი გერმანელი ოფიცრები, რომლებიც ინსტრუქტორებად მუშაობდნენ ირანის არმიაში, ირანელ ოფიცრებს ჩააგონებდნენ იმ აზრს, რომ ოფიცრობა აბსოლუტურად აპოლიტიკური უნდა იყოს და ვალდებულია ბრმად დაემორჩილოს შაჰსო. უნდა ითქვას, რომ თუ ტყვე ირანელი ოფიცრების დაკითხვის, აგრეთვე უფროსი ოფიცრებიდან თვით ყველაზე განვითარებულ პირებთან ჩატარებული საუბრების მიხედვით ვიმსჯელებთ, ამ აზრმა ბრმა მორჩილების შესახებ მტკიცედ მოიკიდა ფეხი ირანის ოფიცრობის ერთ ნაწილში.

სსრ კავშირის წინააღმდეგ ირანის არმიის გამოყენების გასაადვილებლად, გერმანელები ხმებს ავრცელებდნენ, თითქოს წითელმა არმიამ გერმანელებთან ბრძოლაში დაჰკარგა მთელი თავისი შეიარაღება და თითქოს საბჭოთა ტანკები, რომლებიც ირანში შედიოდნენ, ფირფიცრისაგან იყო დამზადებული. ამან გამოიწვია ის, რომ ირანში საბჭოთა ჯარების შესვლის დასაწყისში, ფრონტის ერთერთ უბანზე, ირანის არმიის ცხენოსანი ესკადრონი ჩვენს ტანკებს ეკვეთა მარტოკა ხმლებით და ძვირად დაუჯდა გერმანული პროპაგანდის სიცრუეში დარწმუნება.

გერმანიის თეირანელი ელჩი ფონ-ეტელი განსაკუთრებულ უურადღებას აქცევდა ოფიცრებს შორის პროპაგანდის საქმეს. მათი საშუალებით იგი აგროვებდა სამხედრო ხასიათის სულ სხვადასხვაგვარ ინფორმაციას.

ამ მუშაობის შედეგი იყო თეირანის პროვოკაციული ბომბარდირება ახალგაზრდა ირანელი ოფიცერი მფრინავების ჯგუფის მიერ, რაც მიმდინარე წლის სექტემბრის დამდეგს მოხდა. ფონეტელის მიერ იყო მოწყობილი მკვლელობა ირანის საჰაერო ძალთა უფროსისა, რომელმაც მფრინავებს უბრძანა შეეწყვიტნათ წინააღმდეგობის გაწევა საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ჯარების შესვლისათვის ირანში.

ჰიტლერელები მთელი ძალღონით ცდილობდნენ ფაშისტური სულისკვეთება დაენერგათ ირანის არმიაში. ისინი ტრაბახით გაჰკიოდნენ გერმანიის არმიის უძლეველობაზე. თავიანთი ინსტრუქტორი ოფიცრების საშუალებით ისინი ირანის არმიაში ნერგავდნენ გერმანულ ტაქტიკას. სააღლუმო მარშიც კი ირანის არმიაში გერმანული იყო.

როგორც მათ მიერ გაჩაღებული ძირგამომთხრელი მუშაობის ერთერთ ჩვეულებრივ ხერხს, გერმანელები ფართოდ იყენებდნენ სიცრუეს და ცილისწამებას. ცნობილი არამზადა, ჯაშუში და პროვოკატორი შმიდტი, რომელიც თავრიზში თარეშობდა, სამხრეთ აზერბაიჯანში ავრცელებდა ცრუ, ცილისმწამებლურ ხმებს სსრ კავშირისა და წითელი არმიის შესახებ. იგი ლაპარაკობდა, თითქოს გერმანელებმა ხელთ იგდეს ამიერ-კავკასიის რამდენიმე ქალაქი, თითქოს წითელი არმია ირანში იმიტომ მიდიოდა, რომ ამით გერმანელებისაგან თავს შველოდა ინდოეთის გაქცევით, და მთელ რიგ სხვა სრულიად უაზრო სისულელეებს როშავდა. იგი ცდილობდა ირანის მცხოვრებლები დაეშინებინა საზიზღარი მტკიცებით, თითქოს წითელი არმია მოსპობდა მოსახლეობას ირანის იმ ოლქებში, რომლებიც მან დაიკავა, დაიტაცებდა მცხოვრებთა ქონებას და ა. შ. მაგრამ ეს ბინძური ცილისწამება არავინ არ დაიჯერა, წითელი არმიის ირანში შესვლამ კი საბოლოოდ გამოამჟღავნა ჰებელსის ხმის ამყოლი.

მხოლოდ შაჰის მთავრობის სრული წაყრუებით აიხსნება ის

გარემოება, რომ ეს არამზადა სრულებით არ დაუსჯიათ, თუმცა მან მოახერხა ადგილობრივ ხელისუფალთა თვალწინ მოეწყო თავრიზში მოსახლეობის მიტინგები და წაეკითხნა მათთვის ჰეგელსის თავიდან ბოლომდე ცრუ ცნობები გერმანია-საბჭოთა კავშირის ფრონტის მდგომარეობის შესახებ.

გერმანული პროპაგანდა ცდილობდა ზეგავლენა მოეხდინა ირანელთა რელიგიურ გრძნობებზე. გერმანელები ირანის მცხოვრებლებს აშინებდნენ და ეუბნებოდნენ, რომ წითელი არმია ირანში რელიგიის დევნას დაიწყებს და მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებსა და სარწმუნოებას აბუჩად აიგდებსო.

გერმანელები მუსლიმანურ მოსახლეობას ასისიანებდნენ სომხების წინააღმდეგ. არის ცნობები, რომ 29 აგვისტოსათვის, ე. ი. პარასკევისათვის (მუსლიმანთა დასვენების დღე) დანიშნული იყო სომხების საყოველთაო ხოცვა-ჟლეტა თავრიზში, და მხოლოდ საბჭოთა ჯარების შესვლით ქალაქში, თავიდან იქნა აცილებული ეს მოსალოდნელი სისხლისღვრა.

ამრიგად, ნაციონალური შუღლის დათესვით, გერმანელები ცდილობდნენ ეწარმოებინათ ირანში თავიანთი ბინძური, კაცთმოძულეობითი მუშაობა.

ჰიტლერული პროპაგანდა ირანში საფუძვლიანად იყო მოწყობილი. ამ მიზნით იყენებდნენ დიდძალ თანხას, ჰქონდათ საჭირო ტრანსპორტი — ავტომობილები და თვითმფრინავებიც კი. ასე, მაგალითად, ფაშისტური დაზვერვის დავალებით, ცნობილი გენერლის ბლომბერგის შვილმა ამასწინათ „ტურისტული“ აგიტ-გადაფრენა მოახდინა ირანში სასპორტო თვითმფრინავით.

მთელს ირანში გამართული იყო რამდენიმე მძლავრი ფარული მოძრავი რადიოგადამცემი. ირანის მთავრობამ იცოდა ამ რადიოგადამცემთა მუშაობა, მაგრამ დიდხანს ვერ შესძლო მათი აღმოჩენა. მაგრამ ამასწინათ ორი მათგანი აღმოჩენილ იქნა ჰამადანსა და თეირანში. თეირანში, ქალაქის ცენტრში, ცნობილი

ფირმის „ტელეფუნკენის“ რადიომიმღებით მოვაჭრე მაღაზიაში, აგრეთვე ალმოჩენილ იქნა შენიღბული მოკლეტალღიანი რადიოგადამცემი.

განსაკუთრებით წარმატებითს პროპაგანდას ეწეოდნენ ჰიტლერელები რუს თეთრგვარდიელთა, დაშნაკთა და მუსავატელთა შორის. აქ, სწორედ რომ ვთქვათ, აგიტაციის გაწევაც კი საჭირო არ იყო. მარტოკა თეირანში ცხოვრობს 20 ათასზე მეტი თეთრგვარდიელი და დაახლოებით ამდენივე დაშნაკი და მუსავატელი. ირანში თეთრგვარდიელებს ხელმძღვანელობდა ჰიტლერის აგენტი, უჯარო გენერალი ვიგორნიცკი. იგი თავის მხრივ ემორჩილებოდა მეორე რუს გენერალ ბისკუპსკის, რომელიც ხელმძღვანელობას ბერლინიდან ახორციელებს, გესტაპოს და ფაშისტური დაზვერვის ფრთებს შეფარებული.

თავაღებული, აღვირახსნილი კამპანია დაიწყეს ჰიტლერელებმა ირანში მაშინ, როცა ცხადი გახდა, რომ ყბადაღებული „ბლიცკრიგი“ (სსრკ წინააღმდეგ ელვისებური ომის გეგმა) ჩაიფუშა და ჰიტლერის არმია, რომელიც უდიდეს ზარალს ნახულობს, წითელ არმიასთან ბრძოლაში ჩაეფლო.

რუსი თეთრგვარდიელებისა, მუსავატელებისა და დაშნაკებისაგან სასწრაფოდ შეადგინეს მთელი რიგი დივერსიული და ტერორისტული ჯგუფები, რომელთა ამოცანა იყო საბჭოთა ამიერკავკასიის ტერიტორიაზე გადმოსვლა, მთელი რიგი დივერსიების მოხდენა ბაქოსა და გროზნოში, სტრატეგიული მნიშვნელობის მთელი რიგი ხიდებისა და გზების აფეთქება, ბაქო-ბათუმის ნავთსადენის გაფუჭება რამდენიმე ადგილას და მრავალი სხვა დივერსიული აქტის ჩადენა.

მუსავატელებს დაჰპირდნენ სსრ კავშირზე გამარჯვების შემდეგ „აზერბაიჯანის დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ შექმნას (ოლონდ პატარა ნაწილის — ბაქოს გამოკლებით).

გერმანელებს განზრახული ჰქონდათ „აზერბაიჯანის დამოუკი-

დებელ სახელმწიფოში“ შეექმნათ მუსავატისტური მთავრობა ცნობილი პროვოკატორის, მუსავატისტ რასულ-ზადეს მეთაურობით, რომელიც ამჟამად რუმინეთში ცხოვრობს.

დაშნაკებს უწინასწარმეტყველებდნენ „დიდი სომხეთის“ შექმნას ყარსიდან თავრიზამდე, მათ შორის, რასაკვირველია, მთელი საბჭოთა სომხეთის ჩათვლით.

თავისი პროპაგანდის წარმოების დროს ჰებელსის ემისრები მუდამ მიუთითებდნენ ჰიტლერის წიგნის „ჩემი ბრძოლის“ იმ განყოფილებაზე, სადაც იგი კავკასიაზე ლაპარაკობს და კავკასიის მთელი რიგი „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოების შექმნის დაპირებას იძლევა.

ამას გარდა, სსრ კავშირში ძირგამომთხრელი მუშაობის წარმოებისათვის ჰიტლერელები თეთრგვარდიელებს, დაშნაკებს, მუსავატელებსა და სხვა არამზადებს შეჰპირდნენ ნაღდი ფულის გადახდას, უმთავრესად უცხოეთის ვალუტით (ვაგლახ, — საერთაშორისო ბირჟაზე მეტისმეტად დაეცა გერმანული მარკის ფასი და მას ძალიან უხალისოდ ღებულობენ).

ირან-თურქეთის საზღვრის მესაზღვრე კომისრის ხელმძღვანელობით, ირანში საბჭოთა ჯარების შესვლის წინ, ხოიში შესდგა მაკუს და რიზაიეს რაიონებში მცხოვრებ ქურთი ტომების აყსაკალების (უხუცესთა) კრება, რომელზედაც განიხილეს სსრ კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში ქურთების ჩათრევის საკითხი. ამავე თათბირზე შეიმუშავეს ღონისძიებანი სსრ კავშირში ბანდების შემოსაგზავნად.

ირანში გერმანული პროპაგანდის დაყენების საინსპექტოროდ ბერლინიდან ჩავიდნენ ფაშისტი მეთაურები შახტი და ფონ-შირახი. როგორც სჩანს, ისინი კმაყოფილი დარჩნენ თავისი აგენტურის მუშაობით.

ირანში სახელმწიფო გადატრიალების მომზადების პროცესში ჰიტლერელმა პროპაგანდისტებმა ფაშისტურ სვასტიკიან ბაირა-

ლებთან ერთად დაამზადეს ნაცისტური პლაკატები და ლოზუნგები ირანულ ენაზე, აგრეთვე ახალგამომცხვარი მუსლიმანის — ადოლფ ჰიტლერის პორტრეტები.

ვაგლახ, არ გამოუვიდათ. მიხაკისფერი მკვლელები ანგარიშში მოსტყუვდნენ. „ჰიტლერმა ვერ შესძლო ირანის გადაქცევა სსრ კავშირის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების პლაცდარმად, ხოლო ირანის სახელმწიფოს გადაქცევა — თავისი პოლიტიკის მორჩილ იარაღად“ („პრავდა“).

მრავალი წლის განმავლობაში პირველად, 3 სექტემბერს, გაზეთი „ჟურნალ დე ტეჰერანი“ გამოვიდა სტატიით, რომელშიაც აშკარად სწერდა გერმანელთა მიერ გაჩაღებულ ძირგამომთხრელ საქმიანობაზე, რაც ირანისადმი მტრულ ხასიათს ატარებდა.

9 სექტემბერს მეჯლისის საგანგებო სხდომაზე, სსრ კავშირისა და ინგლისის მთავრობათა მოთხოვნით, მიიღეს გადაწყვეტილება ირანის ფარგლებიდან გაეძევებინათ გერმანიის, იტალიის, რუმინეთისა და უნგრეთის მისიები და ინგლისისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა განკარგულებაში გადაეცათ ინტერნირებისათვის გერმანიისა და იტალიის ქვეშევრდომები, აგრეთვე მომავალში ირანის ტერიტორიაზე შესვლის ნება არ მიეცათ გერმანიის ქვეშევრდომებისათვის.

მაგრამ შემდგომმა ამბებმა გვიჩვენეს, რომ რიზა-შაჰი არც კი ფიქრობდა ლოიალურად შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულებანი. გერმანელი ჯაშუშები დაუსჯელად იმალებოდნენ თავიანთ ირანელ აგენტებთან. თავრიზის რაიონში რეგისტრირებული იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც, წითელი არმიის შესვლის შემდეგ, ქალის ტანსაცმელგადაცმული გერმანელი აგენტები ადგილობრივ ვაჭრებთან იმალებოდნენ.

ასე, მაგალითად, მატყლის ფაბრიკის მეპატრონე გაჯი ნაღი ჯორაფჩიმ თავის ბაღში დამალა 11 გერმანელი, რომლებიც ქალის ჩადრით მორთო. ძაფის ფაბრიკის მეპატრონე კელკატიმ

თავისთან დამალა ის გერმანელები, რომლებიც მასთან მსახურობ-დნენ. ასეთი შემთხვევები ათობით იყო.

თვით თეირანში პირადად შაჰი ხელოვნურად აფერხებდა გერ-მანიისა და იტალიის მისიების გაძევებას ირანიდან.

ყოველივე ამან წითელი არმიისა და ინგლისის ჯარების სარდ-ლობა აიძულა თავიანთი ჯარები შეეყვანათ თეირანში. შაჰის დანაშაულებრივ პოლიტიკას, რომელმაც ირანის საზოგადოებრი-ობის მწვავე უკმაყოფილება გამოიწვია, შედეგად მოჰყვა შაჰის გადადგომა ტახტიდან უფროსი შვილის სასარგებლოდ. სახალხო აღშფოთების ზეგავლენით თეირანიდან გაძევებულ იქნენ ფაშის-ტური ქვეყნების მისიები, ხოლო ფაშისტი ჯაშუშების უმრავლე-სობა ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ჯარებს გადაეცა.

ირანის ჰაერი უფრო სუფთა გახდა. ფაშისტ მკვლელთა გვე-ლური ბუდე ძირითადად მოსპობილია.

საბჭოთა ხალხი ფხიზლად ადევნებს თვალს ირანის ახალი მთავრობის პოლიტიკას იმისათვის, რომ კვლავ აღარ დაუშვას ირანის გადაქცევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმად.

პ/მგ. რედაქტორი ნ. გოგეშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/XI—1941. უე 42156. შეკვეთის № 1608.
ტირაჟი 5000. 2½ ნაბეჭდი ფურცელი.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, ყორესის ქუჩა № 5.

ფასი 65 კაპ.

94/99
Э 394

ПРОИСКИ ГИТЛЕРОВЦЕВ В ИРАНЕ

Составили:

П. М. Фельдман, Б. А. Левицкий

(на грузинском языке)

Госиздат Груз. ССР
Сектор политической литературы
Тбилиси 1941